



განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრი



# ვეტერინარია

---

უმალესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2017 წელი

**I. ზოგადი ინფორმაცია**

<b>დარგობრივი მახასიათებელი</b>	დასახელება:	<b>ვეტერინარია Veterinary</b>			
	სარეგისტრაციო ნომერი:				
	დამტკიცების თარიღი:				
	მოქმედების ვადა:	7 წელი ან საჭიროებისამებრ			
	დარგი/პროფესია:	რეგულირებადი			
	პროფესიის დასახელება:	ვეტერინარი	Veterinarians	ISCO-08-ისკოდი:	2250; 3240
	სწავლის სფერო:	ვეტერინარია	Veterinary	ISCED-F-ისკოდი:	0841
	განათლების საფეხური კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონე	უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VII დონე		მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ვეტერინარიის მაგისტრი Master of Veterinary

**დარგობრივი მახასიათებლის მიზანი**

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის იუმაღლესი სავეტერინარო განათლების პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას, პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, მობილობას და ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელებას, საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას.

**დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები**

- საქართველოს კანონი - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- საქართველოში ვეტერინარიის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის შემუშავებული ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო რეგულაციებისა და დირექტივების საფუძველზე;
- OIE recommendations on the Competencies of graduating veterinarians ('Day 1 graduates') to assure National Veterinary Services of quality; x - Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (2015).

## დარგის აღწერა

ვეტერინარია - სავეტერინარო მედიცინა მეცნიერებათა ერთობლიობაა, რომელიც შეისწავლის ცხოველთა დაავადებებს, მათთან ბრძოლისა და პრევენციის ღონისძიებებს, ცხოველთა პროდუქტიულობის ამაღლების საკითხებს, ადამიანების ზოონოზებისაგან დაცვის მეთოდებს. ვეტერინარიის ქვემოთ იგულისხმება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებების კომპლექსი რომელიც მიმართულია ცხოველთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, უვნებელი ცხოველური პროდუქტის წარმოებისთვის, ადამიანის დაავადების პრევენციისაკენ და ეკოსისტემის დასაცავად.

## დასაქმების შესაძლებელი სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები

### 1. დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები:

#### ვეტერინარია (არასრული სია):

- შესაბამისი სახელმწიფო უწყებები: ქვეყნის შიგნის და საზღვარზე ვეტერინარიული კონტროლის მექანიზმების შემუშავება და განხორციელება ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით;
- სასაკლაოები: დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომი შემოწმება;
- ფარმაცევტული საწარმოები, ვეტერინარული ავთიაქები: პრეპარატების წარმოება, გამოცდა და კონტროლი, შენახვა-გაცემა და ა.შ;
- ზოომდაზიები, ზოოპარკები, ვივარიუმები, ტერარიუმები, იპოდრომები, ცხოველთა თავშესაფრები: ცხოველების ტიპური პათოლოგიური პროცესები და მათი გამოვლინებები სხვადასხვა ორგანოთა სისტემებში, ცხოველების ინფექციური და პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა, ცხოველების ინფექციური და პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა, და ა.შ;
- სავეტერინარო კლინიკები და ლაბორატორიები (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები): ცხოველების ინფექციური, პარაზიტული, შინაგანი დაავადებების, ქირურგიული და რეპროდუქციული პათოლოგიების კლინიკური დიაგნოსტიკა და მკურნალობა, გადამდები დაავადებების სპეციფიკური პროფილაქტიკა, ცხოველებიდან აღებული ბიოლოგიური და პათოლოგიური ნიმუშების აღება, ლაბორატორიული გამოკვლევა და ანალიზი და ა.შ.

#### ექსპერიმენტული მედიცინა (არასრული სია):

- სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ცენტრები და ინსტიტუტები: ექსპერიმენტული მედიცინის სხვადასხვა მიმართულებებზე მუშაობა.

#### მეცხოველეობა (არასრული სია):

- მეცხოველეობის ფერმები, მეფრინველეობის ფერმები, მეფუტკრეობის და მეთავზეობის საწარმოები, კინოლოგიური სამსახურები: ცხოველთა მოშენება, აღწარმოება, კვება, ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ა.შ.

#### სურსათის უვნებლობა (არასრული სია):

- აგრარული ბაზრები, სურსათის ბიზნესოპერატორები: ცხოველური წარმოშობის სურსათისა და ნედლეულის შემოწმება და ა.შ;

#### გარემოს დაცვა (არასრული სია):

- დაცული ტერიტორიებზე გადამენების პირას მყოფი სახეობების გადარჩენა-შენარჩუნება, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და შენარჩუნება, ეპიდემიური სიტუაციების მონიტორინგი და პრევენცია.

### 2. სპეციალური მოთხოვნები: არ არსებობს.

**II. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა**

უმაღლესი განათლების საფეხური: II

**1. ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა**

ხანგრძლივობა	5 წელი	სტრუქტურა	<input checked="" type="checkbox"/>	სპეციალობა(ვეტერინარია)	min 225 ECTS	მათ შორის:	<ul style="list-style-type: none"> <li>• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები/სხვ.;</li> <li>• პრაქტიკა/პრაქტიკები;</li> <li>• სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი</li> </ul>
მოცულობა, ECTS	min 300 ECTS		<input checked="" type="checkbox"/>	ზოგადიან/და თავისუფალი კომპონენტები	min 75 ECTS	მათ შორის:	<ul style="list-style-type: none"> <li>• სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები</li> </ul>

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები - არ არსებობს.

**2. დარგობრივი კომპეტენციები**

ასპექტი, №	კომპეტენცია		კომპეტენციის	
	ცოდნა-გააზრება	პრაქტიკული/სხვ. უნარები	მიღწევის სპეციფიკური მეთოდები	დემონსტრირების სპეციფიკური კრიტერიუმები
<b>1. კომპეტენციის სფერო - ცხოველის ბიოლოგიური თავისებურებები</b>				
1.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცხოველების გენეტიკური და ბიოქიმიური თავისებურებები, მათი უჯრედების, ქსოვილების, ორგანოების, ორგანოთა აპარატების და სისტემების ფუნქციური და სტრუქტურული თავისებურებები;</li> <li>• ინდივიდუალური განვითარების და ქცევის თავისებურებები, სასიცოცხლო პროცესების ბიოლოგიური რეგულაციის მექანიზმები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია: ცხოველის ორგანიზმის უჯრედების, ქსოვილების, ცალკეული ორგანოების და ორგანოთა სისტემების მორფო-ფუნქციური დახასიათება და მათი პრეპარირება; ჯანმრთელი ქსოვილების ტიპების და ორგანოების იდენტიფიცირება, ორგანიზმში ორგანოთა ადგილმდებარეობის (ტოპოგრაფიის) განსაზღვრა; ორგანოთა ფორმის, ზომის და ფიზიოლოგიური პარამეტრების ნორმის დადგენა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება; პრაქტიკული დავალებები(ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, სიმულატორის გამოყენება, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქსოვილების, ორგანოების მიკრო- და მაკრო- პრეპარატების მიკროსკოპირების საფუძველზე მათი ტიპის და ორგანული კუთვნილების დადგენა;</li> <li>• ჩონჩხის და ორგანოს ცალკეული ნაწილების აღწერა მშრალი და სველი პრეპარატების და მულაჟების გამოყენებით;</li> <li>• ლაბორატორიული მეთოდებით ფიზიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრა.</li> </ul>
<b>2. კომპეტენციის სფერო - ცხოველების ტიპური პათოლოგიური პროცესები და მათი გამოვლინებები სხვადასხვა ორგანოთა სისტემებში</b>				
2.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეტიოლოგია, პათოგენეზი, ტიპური პათოლოგიური პროცესები, კლინიკური გამოვლინებები, კომპენსატორული მექანიზმები, უჯრედებში, ქსოვილებსა და ორგანოებში წარმოშობილი პათოლოგიური ცვლილებების თავისებურებები;</li> <li>• ლემის გაკვეთა, პათოლოგიური მასალის აღება, დამუშავების, ფიქსაციის, ტრანს-</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგენს: დარღვეული ფუნქციების და დაზიანების ლოკალიზაციას, ფუნქციების კომპენსაცია-დეკომპენსაციის არსებობას, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;</li> <li>• შეუძლია: დაავადებული ორგანოების დათვალიერების და ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით პათოლოგიის სახეობის განსაზღვრა; სხვადასხვა მეთოდ-</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები(ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, სიმულატორის გამოყენება, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პრეპარატების მიკროსკოპირება და პათოლოგიის სახის დადგენა; სიმულატორზე პრაქტიკული სამუშაო;</li> <li>• ლემის გაკვეთა; მაკრო- და მიკრო- პრეპარატებზე, მულაჟებზე და ცხოველებზე მუშაობა; გაკვეთის ტექნიკის, დათვალიერე-</li> </ul>

	<p>პორტირებისა და ლაბორატორიაში გადაგზავნის და ტრანსპორტირების წესები, ორგანოების მკვრ- და მიკრომორფოლოგიური შესწავლა და სიკვდილის შემდგომი დიაგნოსტიკა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასამართლო სავეტერინარო ექსპერტიზის წარმოება, სადავო საკითხების შემთხვევაში სიტუაციის სწორი შეფასება და შემდგომი მოქმედების გეგმის დასახვა.</li> </ul>	<p>დების და ტექნიკის გამოყენება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია: პათოლოგიური ორგანოდან პათო-ჰისტოლოგიური პრეპარატის მომზადება და მიკროსკოპირება, პათოლოგიის ტიპის განსაზღვრა, მიღებული შედეგების საფუძველზე სიკვდილის წინა და შემდგომი დიაგნოზის დადგენა, დიფერენციული დიაგნოსტიკა და გაკვეთის დოკუმენტაციის წარმოება, გაკვეთის დროს პირადი და გარემოს უსაფრთხოებისა და დაზიანებების თავიდან აცილების წესების დაცვა, გაკვეთის შემდგომი ანარჩენების გაუვნებლობა პათოლოგიური პროცესის სპეციფიკისა და დაავადების ხასიათის გათვალისწინებით;</li> <li>• შეუძლია: განახორციელოს სასამართლო-სავეტერინარო ექსპერტიზისთვის გაკვეთა პროფესიული დარღვევებისა და სხვა სახის სადავო საკითხების შემთხვევაში. განახორციელოს იძულებით დაკლული ცხოველებისა და ლემის სადიაგნოსტიკო და სასამართლო-სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ჩატარება შესაბამისი მეთოდებისა და წესების დაცვით, ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.</li> </ul>	<p>ბის, (გარეგანი, შინაგანი), ორგანოების ამოღებისა და მათი გამოკვლევის ტექნიკის დემონსტრირება.</p>
--	--	--	--

**3. კომპეტენციის სფერო - ცხოველების დაავადებების პროპედევტიკა და დიაგნოსტიკის პრინციპები**

<p>3.1.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პაციენტის შესახებ ანამნეზის შეკრების წესები, ცხოველების კლინიკური გამოკვლევის - ფიზიკალური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული მეთოდები;</li> <li>• ცხოველების ფიქსაციის მეთოდები;</li> <li>• სხვადასხვა სისტემებისა და ორგანოების კლინიკური გამოკვლევის თავისებურებები, სხვადასხვა სისტემების დაავადების ძირითადი სიმპტომატიკა; პროფესიული ბიოეთიკა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია: პაციენტის შესახებ ანამნეზის შეკრება, პაციენტის პატრონთან ურთიერთობის მართვა, ცხოველების ფიქსაცია, ცხოველების ფიზიკალური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდების გამოყენება, შეუძლია მიღებული შედეგების კლინიკური ინტერპრეტაცია, ანალიზი და დასკვნის გაკეთება - დიაგნოზის დასმა;</li> <li>• შეუძლია: დაავადების საერთო კლინიკური სურათის საფუძველზე დამატებითი სპეციფიკური გამოკვლევის მეთოდის შერჩევა და ჩატარება. დაავადების პროგნოზის განსაზღვრა, მართვა, პრევენცია;</li> <li>• იყენებს: პროფესიული ბიოეთიკის პრინციპებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, სიმულატორის გამოყენება, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>• ავადმყოფი ცხოველის მიღება, ფიქსაცია, ანამნეზის შეგროვება, ანამნეზის შეგროვება;</li> <li>• კლინიკურ გარემოში ცხოველთან მუშაობა, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება და დიაგნოზის დასმა, ფიზიკალური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული ანალიზის მეთოდები.</li> </ul>
-------------	---	--	---

3.2.	<ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკული მანპულაციების ჩატარება - ცხოველის ფიზიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრა და შეფასება. ვენაპუნქცია და სხვადასხვა ცხოველიდან (სპეციფიკის გათვალისწინებით) სისხლის აღება, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ზონდირება, შარდის, სისხლის და სხვა ბიოლოგიური გამონაყოფების ლაბორატორიული (კლინიკური ბიოქიმიური და სხვა) კვლევა;</li> <li>ელექტროკარდიოგრამის გადაღება, ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: ტემპერატურის, პულსის, სუნთქვის სიხშირის დათვლა, წნევის განსაზღვრა სხვადასხვა სახეობის პაციენტის ანატომიური თავისებურებების გათვალისწინებით. ვენაპუნქციის ჩატარება ცხოველის სპეციფიკის გათვალისწინებით, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, შარდის ანალიზის ჩატარება სკრინინგ-ტესტებით და შარდის ნალექის ციტოლოგია, სისხლის კვლევა იმუნოქრომატოგრაფიული ტესტებით, სისხლის კლინიკური ანალიზი ჰემატოლოგიურ ანალიზატორზე, სისხლის ნაცხის ციტოლოგიური ანალიზი (მორფოლოგია), სისხლის ბიოქიმიური კვლევა ბიოქიმიურ ანალიზატორზე, ელექტროკარდიოგრამის გადაღება და გაშიფვრა; პაციენტის პატრონთან, კოლეგებთან კომუნიკაცია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, სიმულატორის გამოყენება, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პაციენტთან ჯგუფური მუშაობა (კლინიკური როტაციები)</li> <li>დისკუსია, კლინიკურ გარემოში ცხოველთან მუშაობა, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული დავალება მეთვალყურეობის ქვეშ; ფიზიკალური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული ანალიზის მეთოდები.</li> </ul>
------	--	---	--	--

**4. კომპეტენციის სფერო - ცხოველების ინფექციური და პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა**

4.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>პრიონების, ვირუსების, ბაქტერიების, სოკოების, პროტოზოების, ჰელმინთების, ტკიპების და მწერების ბიოლოგიური თავისებურებები, ცხოველებზე მათი პათოგენური მოქმედების მექანიზმი, მათი იდენტიფიკაცია, მათ მიერ გამოწვეული დაავადებების კლინიკური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, მკურნალობის და პროფილაქტიკის მეთოდები და საშუალებები; ასეპტიკის და ანტისეპტიკის ასპექტები;</li> <li>ეპიდემიოლოგიური/ეპიზოოტოლოგიური პროცესების ფორმირების პირობები და მექანიზმები, ეპიდემიის საწინააღმდეგო პროცესების ერთობლიობა, რომელიც მართულია ინფექციური დაავადებების პრენეციასა და ლიკვიდაციაზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: დაავადებული ორგანიზმიდან პათოლოგიური ნიმუშის სწორი აღება, დამუშავება, მარკირება, კონსერვაცია და ტრანსპორტირება; ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდის და ტექნიკის შერჩევა; ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება, რისთვისაც იყენებს - მიკროსკოპულ, კულტურალურ, სეროლოგიურ, მოლეკულურ-ბიოლოგიურ, ფაგოდიაგნოსტიკის და ბიოლოგიური ცდის მეთოდებს; დიფერენციალური დიაგნოზის გატარება და საბოლოო დიაგნოზის დადგენა; ეპიდემიოლოგიური/ეპიზოოტოლოგიური სიტუაციის მოკვლევა, ანალიზი, კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დიაგნოზის დადგენა, ანტიმიკრობული: ანტიბაქტერიული, ანტიფუნგალური, ანტივირუსული და სხვა შესაბამისი პრეპარატების და პრევენციული საშუალებების გამოყენება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, სიმულატორის გამოყენება, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ლაბორატორიულ-სადიაგნოსტიკო მეთოდებით გამოკვლევის ჩატარება;</li> <li>მიკროსკოპული პრეპარატების მომზადება, მიკროსკოპირება და დიფერენცირება;</li> <li>კულტურალური მეთოდების, სეროლოგიური რეაქციების და ბიოლოგიური ცდის ჩატარება და მიღებული შედეგების ანალიზი; ასეპტიკური მუშაობის წესების დემონსტრირება.</li> </ul>
------	---	---	--	--

**5. კომპეტენციის სფერო - ცხოველების შინაგანი და ქირურგიული დაავადებები, მკურნალობა და პროფილაქტიკა**

5.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>ცხოველების შინაგანი ორგანოთა სისტე-</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: შინაგანი და ქირურგიული პა-</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კლინიკური სურათის და ლა-</li> </ul>
------	---	---	--	--



	<p>მების დაავადებების, ქირურგიული პათოლოგიების, საკვებისმიერი ინტოქსიკაციების, სხვა ტოქსიკოლოგიური და სხივური დაავადებების მიზეზები, განვითარების მექანიზმები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა.</p>	<p>თოლოგიების დროს გამოსაკვლევნი ორგანოს ტოპოგრაფიის დადგენა და სადიაგნოსტიკო მეთოდის განსაზღვრა და გამოყენება; მიღებული შედეგების ანალიზი დიფერენციული დიაგნოზის გატარება და საბოლოო დიაგნოზის დასმა; საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობის მედიკამენტოზური, ფიზიოთერაპიული და ქირურგიული მეთოდების გამოყენება; პრევენციული ღონისძიებების შერჩევა და გატარება; კვლევის შედეგებზე დამყარებული სწორი რეკომენდაციების მიწოდება; დიაგნოსტიკური, სამკურნალო და პროფილაქტიკური პროცედურების ჩატარება, პაციენტის პატრონის ინფორმირებული თანხმობის შემდეგ; ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მდგომარეობის გაცნობიერება და საჭიროების შემთხვევაში ევთანაზია.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, სიმულატორის გამოყენება, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<p>ბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დიფერენციული დიაგნოზის გატარება, საბოლოო დიაგნოზის დასმა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგიული ოპერაციების ტექნიკის შეფასება პრაქტიკული დავალებით;</li> <li>სწორი სამკურნალო სტრატეგიის შერჩევა.</li> </ul>
5.2.	<ul style="list-style-type: none"> <li>პირველადი დახმარების გაწევა: სარეანიმაციო მოქმედებების ჩატარება, პაციენტის გადაუდებელი მდგომარეობის შეფასება და მართვა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: ცხოველთა გადაუდებელ პაციენტად დაჯგუფება; დაავადების მდგომარეობაში გარკვევა, მოსალოდნელი შედეგების და სირთულეების გაცნობიერება; კონკრეტული დაავადების დიაგნოსტიკისათვის კვლევის მეთოდების სწორედ შერჩევა; კვლევების შედეგების გათვალისწინებით და ინფორმაციის ინტეგრირებით დიფერენციალურ დიაგნოსტიკა და დაავადების მართვის გეგმის შემუშავება და პირველადი დახმარების ეფექტური განხორციელება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, სიმულატორის გამოყენება, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გადაუდებელი (ურგენტული) მდგომარეობის შეფასება და პირველადი დახმარების გაწევა.</li> </ul>
<b>6. კომპეტენციის სფერო - პრევენციული სავეტერინარო მედიცინა</b>				
6.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>გამომწვევი მიზეზების მიკვლევა და აღმოფხვრა; წყლის, ჰაერის და ნიადაგის ანალიზი, ზოგადი და სპეციფიკური პროფილაქტიკის მეთოდები და საშუალებები; ვაქცინები და ვაქცინაცია; ექსპრეს-პროფილაქტიკა; ცხოველური პროდუქტის ვეტერინარული კონტროლი მათი უვნებლობის და კეთილსაიმედობის დასადგენად; დაავადებული ცხოველებიდან მიღებული პროდუქტის განადგურება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: გარემოს ობიექტების - წყლის, ჰაერის, ნიადაგის ნიმუშების აღება და გაგზავნა, საჭირო შესასწავლი პარამეტრის განსაზღვრა, მათი უსაფრთხოების შესაფასებლად იყენებს შესაბამის მეთოდებს და ტექნიკას, შეუძლია ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შეფასება, საჭიროებისამებრ ადგენს გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის შესაბამის მეთოდებს; მათი პრევენციისთვის განახორცი-</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები), სტატისტიკური ანალიზი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მონაცემების შეკრება, შეყვანა შესაბამის პროგრამულ ბაზებში და სტატისტიკური დამუშავება; წყლის, ჰაერის და ნიადაგის მიკრობიოლოგიური ანალიზი; ცხოველური პროდუქტის ვეტერინარული კონტროლი და ლაბორატორიული გამოკვლევა, მიღებული შედეგების ანალიზი.</li> </ul>

	ან/და უტილიზაცია ან/და განკარგვა, დაავადებების გავრცელების სტატისტიკური ანალიზი.	ელოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებები, დეზინფაზიის და ვაქცინაციის მეთოდებს; ცხოველთა დაცემის შემთხვევაში განახორციელოს განკარგვა შესაბამის მეთოდებით.		
--	--	--	--	--

**7. კომპეტენციის სფერო – ნორმალური და პათოლოგიური იმუნოლოგიური პროცესები, იმუნოლოგიური რეგულაცია, იმუნოდიაგნოსტიკა, იმუნოთერაპია და იმუნოპროფილაქტიკა**

7.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>იმუნური სისტემის აგებულება და ფუნქციები, სასიცოცხლო პროცესების მარეგულირებელი და ადაპტაციური შესაძლებლობები; იმუნური პასუხის ზოგადი კანონზომიერებები და მისი თავისებურებები სხვადასხვა ტიპის ინფექციური აგენტების, სიმსივნის და ტრანსპლანტის მიმართ; მუნოპათოლოგიები (ალერგიული, აუტოიმუნური, იმუნოდეფიციტური და იმუნოპროლიფერაციული), გამომწვევი მიზეზები და განვითარების მექანიზმები; კლინიკური და ლაბორატორიული იმუნოდიაგნოსტიკა; იმუნოლოგიური ანალიზის მეთოდები; ინფექციური დაავადებების იმუნოპროფილაქტიკა; ინფექციური, ალერგიული, სიმსივნური და აუტოიმუნური დაავადებების იმუნოთერაპია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: იმუნოლოგიური სტატუსის შეფასება, რისთვისაც ადგენს და იყენებს სასურველი იმუნოლოგიური კვლევის მეთოდს. იმუნოლოგიური ნორმატივების ცოდნის საფუძველზე შეფასებას უკეთებს იმუნოგრამის მონაცემებს; ადგენს შესაბამისი იმუნოპროფილაქტიკური და იმუნოთერაპიული საშუალების და მეთოდის გამოყენების აუცილებლობას და თავისებურებებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები), კლინიკური შემთხვევების განხილვა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>იმუნოლოგიური კვლევის მეთოდების შესრულება; ლაბორატორიულ ცხოველებზე მანიპულაციები; ანტიგენური პრეპარატის მომზადება, იმუნოზაცია, ჰიპერიმუნური შრატის მიღება და მისი ეფექტურობის შეფასება.</li> </ul>
------	---	---	---	--

**8. კომპეტენციის სფერო - ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფები, მოქმედების მექანიზმი, გამოყენების თავისებურებები**

8.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>ვეტერინარული პრეპარატის წარმოება და კლინიკური და პრეკლინიკური კვლევები; რეცეპტურა; სამკურნალო და პროფილაქტიკური მოქმედების პრეპარატების ჯგუფები, მათი მოქმედების მექანიზმები. პრეპარატების ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა; გვერდითი მოვლენები, ჩვენებები და უკუჩვენებები და გამოყენების თავისებურებები; ფარმაცევტული პროდუქტის შენახვის და მიმოქცევის თავისებურებები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: სამკურნალო ფორმების დამზადება; ახალი პრეპარატის ექსპერიმენტული, პრეკლინიკური და კლინიკური გამოცდის ჩატარების ორგანიზება;</li> <li>შეუძლია: დიაგნოზის საფუძველზე შესაბამისი სამკურნალო და პროფილაქტიკური მოქმედების პრეპარატების შერჩევა და რეცეპტის გამოწერა;</li> <li>ადგენს: პრეპარატის სწორ დოზირებას, ჯერადობას და ინტერვალს;</li> <li>შეუძლია: პრეპარატის არასწორი მოხმარებით გამოწვეული გართულებების პრევენცია და გადაჭარბებული დოზით გამოწვეული ინტოქსიკაციის შემთხვევაში პირველადი დახმარების გაწევა;</li> <li>შეუძლია: ფარმაცევტული პროდუქტის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მარტივი წამალთ ფორმების მომზადება;</li> <li>რეცეპტის გამოწერა;</li> <li>ოზიექტურად სტრუქტურირებულ სიტუაციაში სამკურნალო საშუალებების და მურნალობის სქემის შედგენა;</li> <li>პრეპარატის აპლიკაციის მეთოდების შესრულება;</li> <li>ოზიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (სიმულაციური ამოცანები).</li> </ul>
------	---	---	--	---



		შენახვის პირობების დაცვით განთავსება და მისი გაცემა და გამოყენება კანონმდებლობის შესაბამისად.		
<b>9. კომპეტენციის სფერო - მეცხოველეობა, ცხოველთა მოშენება და კვება</b>				
9.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცხოველების ჯიშები და მათი სამეურნეო მნიშვნელობა პროდუქციის წარმოებაში;</li> <li>• მოშენების ტექნიკა, მოვლა-შენახვის სისტემები, პროდუქტიულობის სახეები მათი ფორმირების და შეფასების პრინციპები; პროდუქციის პირველადი წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიები; ცხოველთა სტრესებისაგან დაცვის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პირობები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია:მეცხოველეობის სხვადასხვა დარგის მართვის საკითხების დახასიათება;</li> <li>• იყენებს: ცხოველების მოშენების ისეთ ტექნიკას, მოვლა-შენახვის და პროდუქციის წარმოების ისეთ სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანმრთელი პირუტყვის გამოზრდას და კეთილდღეობას;</li> <li>• შეუძლია:ცხოველთა გამოზრდისა და საწარმოო გამოყენების პროცესში წარმოშობილი ტექნიკურ-ტექნოლოგიური დარღვევების იდენტიფიცირება, გამოწვეული დაავადებების და სტრესული სიტუაციების პრევენცია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები(ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცხოველების გაზომვა და განაზომების მიხედვით ცოცხალი მასის დადგენა; ცხოველების მარკირება; რძის ნიმუშის აღების წესი, კვერცხის დახარისხება, მატყლის პარსვა და დახარისხება.</li> </ul>
9.2.	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცხოველთა მოშენების გენეტიკურისაფუძვლები; პროდუქტიულობის და თვისობრივ ნიშან-თვისებებისმემკვიდრეობის თავისებურებები;</li> <li>• მემკვიდრული დაავადებები და ანომალიები, მათი პრევენციის მეთოდები . სასოფლო-სამეურნეო ცხოველების და ფრინველების ჯიშების, ნახირების, ჰიბრიდული ჯგუფების შექმნისა და სრულყოფის ტექნოლოგიები გენეტიკის მიღწევების გამოყენებით. ჯიშების და ნახირების პროდუქტიულობის ამაღლება და მაღალეფექტიანი სელექციის წარმოება დაავადებებისადმი გამძლე ხაზების და ოჯახების გამოყვანის მეთოდები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფლობს: ცხოველთა ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანის ტექნიკისა და ტექნოლოგიებს;</li> <li>• შეუძლია: გენეტიკური დაავადებების პროგნოზირება, მართვა და პრევენცია;</li> <li>• ადგენს: ცხოველის ზრდა-განვითარებასა და ადრულ ასაკში პროდუქტიულობის ფორმირებას შორის კავშირებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები(ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცოცხალი ცხოველების ექსტერიერის შეფასება, კონსტიტუციის დადგენა, კონდიციის შეფასება, ცხოველების თვალზომითი შეფასება, ცხოველების ფოტოგრაფირების წესი.</li> </ul>
9.3.	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცხოველთა საზრდოობის ბიოლოგიური საფუძვლები. საკვების ყუთიანობის (საზრდოობის) შეფასების მეთოდები. საკვების კლასიფიკაცია. ცხოველთა და ფრინველთა ნორმირებული კვებისას ულუფის დაბალანსება და შედგენილი ულუფების პრაქტიკაში გამოყენება. კვების კონტროლი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია: ცხოველთა საზრდოობის ბიოლოგიური საფუძვლების დახასიათება და საკვების ყუთიანობის განსაზღვრა; კლასიფიკაციის მიხედვით საკვების დახასიათება; ცხოველთა და ფრინველთა ნორმირებული კვებისას ულუფის დაბალანსება და შედგენილი ულუფების გამოყენება პრაქტიკაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები(ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა საკვები საშუალებების, ნიმუშის აღების წესი და მათი ორგანოლოგიკური შეფასება;</li> <li>• მარცვლეული საკვების ნატურის წონის, სიწმინდის დადგენა. თივის, სენაჟის და სილოსის მარაგის განსაზღვრა.</li> </ul>

				<ul style="list-style-type: none"> <li>• შედგენილი ულუფების ანალიზი.</li> </ul>
<b>10. კომპეტენციის სფერო - სურსათის უვნებლობა</b>				
10.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>• სურსათის უვნებლობის ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები; ცხოველური წარმოშობის სასურსათო ნედლეულის (ხორცი, რძე, კვერცხი, თევზი, თაფლი) პირველადი წარმოების ტექნოლოგია და ჰიგიენა; ცხოველური წარმოშობის სურსათის გადამუშავების ტექნოლოგიის საფუძვლები და ჰიგიენა (ხორცის, რძის, თევზის გადამუშავება); სურსათისა და სასურსათო ნედლეულის პოტენციური საფრთხეები (ფიზიკური, ქიმიური, მიკრობიოლოგიური); სურსათის უვნებლობის კონტროლის მექანიზმები; სურსათის გაუვნებლობა და განადგურება; ცხოველიდან ადამიანზე სურსათის მეშვეობით გადამდები დაავადებები და მათი პროფილაქტიკა; კვებითი ტოქსიკოინფექციები და ტოქსიკოზები, მათი პროფილაქტიკა ვეტერინარული სამსახური კუთხით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია: ცხოველური წარმოშობის ნედლეულისა და პროდუქტების (ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, თევზი, კვერცხი, თაფლი) პირველადი წარმოებისა და გადამუშავების ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრა; მოქმედი წესების შესაბამისად ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ანალიზისათვის საჭირო სინჯების აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებით; სურსათში პოტენციური საფრთხეების (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური) შეფასება; სურსათის უვნებლობის კონტროლის მექანიზმების სწორად გამოყენება; ცხოველიდან ადამიანზე სურსათის მეშვეობით გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის მეთოდების გამოყენება;</li> <li>• ფლობს: ცხოველების დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომი ვეტერინარული შემოწმების მეთოდიკას; ფერმაში რძის პირველადი დამუშავების, კვერცხის შეფუთვებისა და დახარისხების, თევზის რეწვისა და პირველადი დამუშავების ჰიგიენურ წესებს; ცხოველური წარმოშობის სურსათის გაუვნებლობისა და განადგურების მეთოდებს; სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე სისტემების ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნიმუშის აღების წესის გამოყენება;</li> <li>• ლაბორატორიული ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია/წაკითხვა.</li> </ul>
<b>11. კომპეტენციის სფერო - ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგია, ცხოველთა მედიცინა და რეპროდუქციული ორგანოების დაავადებები</b>				
11.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასქესო ორგანოებში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები (მათ შორის მშობიარობის ფიზიოლოგია); ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევები; მწარმოებლების რაციონალური გამოყენების პირობები;</li> <li>• გამრავლების ფიზიოლოგია, სპერმის მიღების, ხარისხობრივი შეფასების, შენახ-</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია: ცხოველთა მომზადება განაყოფიერებისათვის, ცხოველთა განაყოფიერების ოპტიმალური ვადების გამოვლენა და აღწარმოების მართვა, სხვადასხვა სახეობის ცხოველების ხელოვნური განაყოფიერება თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენებით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თეორიული სწავლება;</li> <li>• პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა სახეობის ცხოველების ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკის დემონსტრირება; ახურების გამოვლენა, ფიქსაციის წესი, სპერმის აღება, მისი განზავება და კონსერვაცია. სპერმის ხარისხის შეფასება და მიღებული შედეგების ანალიზი.</li> </ul>

	ვის და ტრანსპორტირების მეთოდები; ცხოველთა ხელოვნური დათესვის მეთოდები.			
11.2.	<ul style="list-style-type: none"> <li>რეპროდუქციული ორგანოები დაავადებები; ცხოველთა მაკეობის დიაგნოსტიკა; მშობიარობის ფიზიოლოგია; მაკე ცხოველთა, მშობიარობის შემდგომი და სარძევე ჯირკვლების დაავადებები. ამ დაავადებების დიაგნოსტიკა, ცხოველთა უნაყოფობის სახეები და მათი გამომწვევი მიზეზები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: რეპროდუქციული ორგანოების დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა; ცხოველთა სამედიცინო გამოკვლევა, მაკეობის ვადების განსაზღვრა, გართულებული მშობიარობის მიზეზების დადგენა და კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევა. საკვერცხეების და სარძევე ჯირკვლების დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა; ცხოველთა უნაყოფობის მიზეზების დადგენა, მკურნალობა და პროფილაქტიკა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (ლაბორატორია, ანიმაცია, დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ფიზიკალური მეთოდებით (რექტალური პალპაციით) საკვერცხეების და საშვილოსნოს მდგომარეობის, ასევე მაკეობის ვადის განსაზღვრა.</li> </ul>

**12. კომპეტენციის სფერო - სავეტერინარო კანონმდებლობა**

12.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>სავეტერინარო კანონმდებლობის მნიშვნელობა საქმიანობის და ღონისძიებების მართვაში, საკანონმდებლო ბაზასთან მუშაობა, წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად შესაბამისი რეგულაციების შერჩევა და გამოყენება, ვეტერინარიის სფეროში ამოცანების (პრობლემების) გადასაწყვეტად შესაბამისი კანონმდებლობის მისადაგება და გამოყენება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: საკანონმდებლო ბაზასთან მუშაობა, წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად შესაბამისი რეგულაციების შერჩევა და გამოყენება, ვეტერინარიის სფეროში ამოცანების (პრობლემების) გადასაწყვეტად შესაბამისი კანონმდებლობის მისადაგება და გამოყენება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საკანონმდებლო ბაზაში ინფორმაციის მოძიება, მისი აღქმა და გადმოცემა</li> </ul>
-------	--	--	---	---

**13. კომპეტენციის სფერო - ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ღონისძიებების განმახორციელებელი ინსტიტუციური სისტემა**

13.1.	<ul style="list-style-type: none"> <li>სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების დანიშნულება რომლებიც ახორციელებენ ცხოველთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს; მათი როლი და ურთიერთდამოკიდებულება;</li> <li>ქვეყანაში სავეტერინარი ინსტიტუციური მოწყობის საკითხები (მათ შორის, ეპიდემიოლოგიური/ეპიზოოტოლოგიური კონტროლის ქსელი); ქვეყანაში არსებული სახელმწიფო და კერძო სავეტერინარო ორგანიზაციების ფუნქციები და უფლებამოსილებები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია: ცხოველთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ღონისძიებების განმახორციელებელი ინსტიტუციური სისტემის მოწყობის საკითხების შეფასება; სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ღონისძიებების დახასიათება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თეორიული სწავლება;</li> <li>პრაქტიკული დავალებები (დისკუსია, პრობლემური და სიტუაციური ამოცანები).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ცხოველთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებების, ქვეყანაში სავეტერინარი ინსტიტუციური მოწყობის საკითხების, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ღონისძიებების დახასიათება, განგანმარტება და ანალიზი.</li> </ul>
-------	---	--	---	--

### 3. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი

#### 3.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი

დარგის ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
სავეტერინარო ბაზისური და კლინიკური დისციპლინები	კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს შესაბამის დარგში დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით, პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

#### 3.2. მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი

დარგის ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
კლინიკური დისციპლინები	საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკა და/ან აფილირებული კლინიკა (საკუთარი ან ხელშეკრულების საფუძველზე).
	კლინიკური უნარების ცენტრი/ლაბორატორია (საკუთარი ან ხელშეკრულების საფუძველზე)
ფუნდამენტური დისციპლინები	სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია/კვლევითი ინსტიტუტი (საკუთარი ან ხელშეკრულების საფუძველზე)

### 4. დამატებითი ინფორმაცია

1) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიმართულია ვეტერინარის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა მოიცავდეს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ სავალდებულო საკითხებს, რომელთაგან თითოეული საკითხი შეიძლება ისწავლებოდეს ცალკეულად ან სხვა საკითხებთან ინტეგრირებულად სასწავლო კურსებში: 1) საბაზო მეცნიერებები: ფიზიკა; ქიმია, ცხოველთა ბიოლოგია, მცენარეთა ბიოლოგია, ბიომათემატიკა; 2) სპეციალობის კომპონენტი: ა) ბაზისური დარგობრივი მეცნიერებები (ანატომია (ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის ჩათვლით), ფიზიოლოგია, ბიოქიმია, გენეტიკა, ფარმაკოლოგია, ფარმაცია, ტოქსიკოლოგია, მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ეპიდემიოლოგია, პროფესიული ეთიკა); ბ) კლინიკური მეცნიერებები (მეანობა/სამეანო საქმე, პათოლოგია (პათოლოგიური ანატომიის ჩათვლით), პარაზიტოლოგია, კლინიკური მედიცინა და ქირურგია (ანესთეზიოლოგიის ჩათვლით), კლინიკური ლექციები სხვადასხვა შინაური ცხოველების შესახებ (შინაური ფრინველი და ცხოველების სხვა სახეობები), პრევენციული მედიცინა, რადიოლოგია, რეპროდუქცია და რეპროდუქციული დარღვევები, სავეტერინარო ინსტიტუციური სისტემა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სავეტერინარო კანონმდებლობა და სასამართლო სავეტერინარო ექსპერტიზა, თერაპია, პროპედევტიკა); გ) ცხოველების მომშენებლობა (ცხოველების მომშენებლობა, ცხოველების კვება, აგრონომია, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, მეცხოველეობა, სავეტერინარო ჰიგიენა, ცხოველების ეთოლოგია და დაცვა); დ) სურსათის ჰიგიენა/უვნებლობა (ცხოველური წარმოშობის სურსათის ინსპექცია და კონტროლი, სურსათის ჰიგიენა/უვნებლობა და ტექნოლოგია, პრაქტიკული მუშაობა (მ.შ. პრაქტიკა სასაკლაოზე და ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოების ადგილებში). ზემოთ მითითებული საკითხების შემცველი სასწავლო კურსების დასახელებები და მათი მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებისამებრ.

2) სპეციალობის არჩევით ნაწილში მოიაზრება სპეციალობის - ვეტერინარიის, სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო კურსები/მოდულები/სხვ.,

რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული მოვალეობების შესრულებას ან/და გააფართოვებს კომპეტენციებს ვეტერინარიის სფეროში.

3) სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი „პრაქტიკა“ ტარდება შესაბამისი პროფილის და რესურსების მქონე ორგანიზაციაში ან სხვ., რომელთანაც საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. პრაქტიკის ობიექტზე გატარებული საათების ოდენობა არ უნდა იყოს პრაქტიკის კრედიტის შესაბამისი საათების 2/3-ზე ნაკლები;

4) საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების ჩამოყალიბება-განვითარებაზე მიმართულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომლებიც არ მიეკუთვნება სპეციალობის კომპონენტს.

5) საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ზოგადი კომპეტენციები:

- ანალიზისა და სინთეზის უნარი - შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულად შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. შეუძლია ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომა, სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა;
- ინფორმაციის მართვა - შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება. პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი;
- პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება - დამოუკიდებლად შეუძლია კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა, ჩამოყალიბება, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. იცნობს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად იყენებს დამატებით რესურსებს საკუთარი სპეციალობის ფარგლებში;
- ჯგუფში მუშაობის უნარი - აქვს ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე - ლიდერს. შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა;
- კომუნიკაციის უნარი, მათ შორის უცხო ენაზე - აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. შეუძლია შეხვედრებში მონაწილეობა და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა;
- სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი - შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი;
- ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი - კოლექტივში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, პროფესიული სუბორდინაციის/ადაპტაციის უნარი, ახალი ტექნოლოგიების ათვისების უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი - აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. შეუძლია თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვა. პასუხს აგებს შესრულებულ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება და კრიტიკა.

### III. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	<b>დავით გოდერძიშვილი</b>	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, ვეტერინარიის დეპარტამენტის ვეტ-სანიტარული ზედამხედველობის სამართველო	სამართველოს უფროსი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
2.	<b>გაგა ოსიაშვილი</b>	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის დეპარტამენტის პათომორფოლოგიური კვლევების და პარაზიტოლოგიის ლაბორატორია	ლაბორატორიის უფროსი
3.	<b>მაია ბერუაშვილი</b>	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის სურსათის უვნებლობის სამმართველო	მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი
4.	<b>ჯამბულ მალაქელიძე</b>	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის სურსათის უვნებლობის სამმართველო	მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
5.	<b>შადიმან ფოცხვერია</b>	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	მთავარი სპეციალისტი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
6.	<b>თეა ოშხერელი</b>	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, ვეტ-პრეპარატების კონტროლის სამმართველო	სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, ვეტერინარიის დოქტორი,
7.	<b>ლალი ვაშაკიძე</b>	ვეტერინარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაცია	ასოციაციის პრეზიდენტი
8.	<b>გიორგი მელაშვილი</b>	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	პროფესორი, ვეტერინარიის დოქტორი
9.	<b>ბესარიონ ლასარეიშვილი</b>	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის დოქტორი
10.	<b>ნინო მილაშვილი</b>	შპს - წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, ვეტერინარიის დოქტორი
11.	<b>მაია კერესელიძე</b>	შპს - წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
12.	<b>ლევან მაკარაძე</b>	სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი